

# ტესტი ლიტერატურაში

## II პარტიანტი

### ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ლიტერატურის ტესტი ორი ნაწილისაგან შედგება: I. ქართული ლიტერატურა; II. მხატვრული ტექსტის ანალიზი.

დაკვირვებით წაიკითხეთ ყოველი დავალების პირობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!



# I. ქართული ლიტერატურა

(1) 1. გაიხსენეთ იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“.

რატომ აღარ ნახულობდნენ ციხეში მყოფ დედას შვილები?

(2) 2. იოანე საბანისძის თხზულებაში „აბო თბილელის წამება“ მსაჯული ეკითხება აბოს:

„რაი ეგოდენი სიტკბოებაი გაქუს ქრისტეის შენისაგან, რომლითა სიკუდიდცა არა გეწყალის თავი შენი?“

1. რა უპასუხა აბომ მსაჯულს?

2. რა ბრძანება გასცა მსაჯულმა აბოს პასუხის მოსმენის შემდეგ?

(2) 3. თხზულებაში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ გაბრიელ დაფანჩული ეუბნება გრიგოლ ხანძთელს:

„ღირსო მამაო, ჩუენ თანა არს ხორციელი კეთილი და თქუენ თანა არს სულიერი კეთილი და ესენი შევზავნეთ ურთიერთას“.

1. როგორ გესმით სიტყვები: „შევზავნეთ ურთიერთას“?
2. რა არის ამ მონაკვეთის მთავარი სათქმელი?

(6) 4. გაიხსენეთ „ვეფხისტყაოსნის“ თავი „აქა ფატმანისაგან ნესტან-დარეჯანის ამბის მზობა“.

1. ფატმანის თქმით, რა ევალებოდათ დიდვაჭრებს ნავროზობის დღესასწაულზე?
2. რა გზით დაიხსნა ფატმანმა ნესტანი?
3. რატომ დაუმალა ფატმანმა თავდაპირველად ქმარს ნესტანის მათს სახლში ყოფნის ამბავი?
4. რა პირობა ჩამოართვა ფატმანმა უსენს მეფესთან წასვლის წინ?
5. უსენის რომელ საქციელს აფასებს ფატმანი სიტყვებით: „არა ჰმართებს ყვავსა ვარდი, ვირსა – რქანი“?
6. რა მოიმოქმედა ნესტანმა, რომ გულანშაროდან გაპარულიყო?

(2) 5. წიგნში „დავითიანი“ დავით გურამიშვილი წერს:

„დაჯაბდნენ გულად მამაცნი, მძლეთა მებრძოლთა მძლეველნი,  
ნებით შეიქნენ უბრძოლლად თავისა მტერთა მძლეველნი;  
ციხე განულეს, შეუშვეს დამქცევი, დამამძლეველნი,  
მტერნი სამკვიდროთ მომშლელნი, ტრფიალთა წამართმეველნი“.

1. რა აზრს გამოხატავს სიტყვა „დაჯაბდნენ“?

2. პოეტის თანამედროვე ქართველთა რა კონკრეტული მანკიერებაა მხილებული სიტყვებით: „ციხე განულეს, შეუშვეს...“?

(2) 6. გაიხსენეთ სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“.

1. რატომ გადაწყვიტა მეფე ფინეზმა, რომ მისი ვაჟი უთვისტომო და უცნობ კაცს აღეზარდა?
2. რატომ გადაწყვიტა მეფემ, რომ შვილის აღმზრდელი სიკვდილით დაესაჯა?

(2) 7. გაიხსენეთ გრიგოლ ორბელიანის ლექსი „საღამო გამოსაღმებისა“.

1. რა იწვევს ამ ლექსში გამოხატულ პესიმისტურ განწყობილებას?

2. რომელი მხატვრული საშუალებაა გამოყენებული სიტყვებში: „*მთანი მდუმარედ ცათამდის  
აყუდებულნი, ჰსხედან...*“?



(2) 8. გაიხსენეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „შემოღამება მთაწმინდაზედ“.

1. რას გულისხმობს ავტორი სიტყვებში „*ზენაართ სამყოფს*“?

2. ავტორის როგორ განწყობილებას გამოხატავს სტრიქონი: „*გათენდება დილა მზიანი და ყოველს  
ბინდსა ის განანათლებს*“?

(2) 9. გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“.

1. „რუსის აფიცრის“ აზრით, ვინ უნდა შემოიტანოს საქართველოში განათლება და ცივილიზაცია?
2. მოთხრობის ფინალურ ნაწილში ვკითხულობთ: „როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?.. ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი!..“

რით არის გამოწვეული ამ მონაკვეთში გამოხატული გულისტკივილი?

(2) 10. გაიხსენეთ აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელი“.

1. რაზე თქვა უარი აფხაზმა ჭაბუკმა, როცა მთის მწვერვალზე დაიდო ბინა?
2. პოეტის აზრით, რა არის ის:

*„...რითაც მხოლოდ ქვეყნიური  
ნეტარება არის სრული“?*

(2) 11. გაიხსენეთ ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“.

1. რამ წარმოშვა კონფლიქტი გუგუასა და ონისეს შორის?
2. რატომ არ თქვა გუგუამ სიმართლე თემის სამსჯავროზე?

(3) 12. გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას პოემა „აღუდა ქეთელაური“.

1. რატომ დაეჭვდნენ ხევსურები, რომ აღუდას მუცალი მოკლული ჰყავდა?
2. რატომ შერისხა ხატობაზე ბერდიამ აღუდა ქეთელაური?
3. ფრაზაში – „*ხევსურთა ახალუხლები გადაიქციან ტყემლადა...*“ – რას ნიშნავს სიტყვა „*ახალუხლები*“?

(2) 13. გაიხსენეთ დავით კლდიაშვილის მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალი“.

1. რატომ იყო თავზარდამცემი პლატონ სამანიშვილისთვის მამის „სურვილი ცოლის თხოვისა“?
2. რა რეაქცია ჰქონდა კირილეს, როცა შეიტყო, რომ მისი სიმამრი ცოლის შერთვას აპირებდა?

(2) 14. ლექსში „მშობლიური ეფემერა“ გალაკტიონ ტაბიძე წერს:

„სულ ერთი წამით, განსაცდელ ჟამად,  
შეხვედრა ჩუმი მე შენად მერგო,  
მოგონებებით, რაც ჩემს გულს ანთებს,  
იმ ძვირფას ლანდებს გადაეც, თერგო!“

1. რომელი კლასიკური ტექსტის აღუზიან ამ სტროფში?
2. რა ემოციას აღუძრავს პოეტს „ძვირფასი ლანდების“ მოგონება?

(2) 15. გაიხსენეთ მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“.

1. რაზე მიანიშნებს მკითხველს მწერალი სიტყვებით: *„იმ ეკლესიის ფართე გზა ჯერ გაბილიკებულიყო, მერმე ისიც წაშლილიყო, აბალახებულიყო და ნარ-ეკლით მოდებულიყო“?*
2. ჯაყოს როგორ მდგომარეობას გამოხატავს მისი სიტყვები: *„ეხლა მე გწერ კანონებსა“?*



(2) 16. გაიხსენეთ პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“.

1. ყვარყვარეს რა თვისება ჩანს მის სიტყვებში: „დიდი მოიჯარადრე შევიქნები, დიდისგან დიდი. კი ნახავ. ქრთამს სულ ქერივით დავაბნევ დიდკაცობაში. თვალი დაგიბრმავდება, რომ გაგივლი და არ შეგხედავ“?
2. რა მხატვრული საშუალებაა გამოყენებული ფრაზაში: „ნიჩბები მივაგდეთ თხრილში... სუ დათვებივით მოვძუნძულებდით“?

(2) 17. გაიხსენეთ ანა კალანდაძის ლექსი „მკვდართა მზე ვარ...“

1. რომელ „ორ ქვეყანას“ გულისხმობს ავტორი სტრიქონში: „ორი ქვეყნის, ორი ქვეყნის საზღვრად ვდგევარ...“?
2. რა განწყობილებაა გამოხატული სტრიქონში: „მაგრამ... მაინც გული რისად მეხურება“?

(2) 18. გაიხსენეთ გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“.

1. რატომ გადაწყვიტა ინტერვიუერმა, რომ თავის რესპონდენტებად ფოტოგრაფები შეერჩია?
2. რატომ არ მოსწონს ვასიკო კეჟერაძეს კინოფილმები?

## II. მხატვრული ტექსტის ანალიზი (30 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი ამერიკელი მწერლის, ერნესტ ჰემინგუეის, რომანიდან „ვის უხმობს ზარი“:

რობერტ ჯორდანი ხეებთან მიიყვანეს, სადაც ცხენები იყო. მაშინვე მარია, პილარი და პაბლო შემოეხვივნენ. მარიამ ჩაიჩოქა და ჰკითხა: – რა მოგივიდა, რობერტო?

– მარცხენა ფეხი მომტეხეს, – მიუგო ოფლად გაღვრილმა.

– ახლავე შეგიხვევთ, – უთხრა პილარმა, – და აი, იმ ცხენით წამოხვალ – ერთ-ერთ საპალნეაკიდებულ ცხენზე მიუთითა, – ჩამოხსენით ბარგი.

– თქვენ წადით, – თქვა მან. – პაბლო, ერთი აქ მოდი... რაღაც მინდა გითხრა. – პილარს და მარიას მიუბრუნდა: – პაბლოსთან სალაპარაკო მაქვს.

– ძალიან გტკივა? – ჰკითხა პაბლომ.

– არა. მგონი, ნერვი მაქვს გაწყვეტილი... გზას გაუდექით. ჩემი საქმე გათავებულია, ხომ ხედავ? მარიასთან მალაპარაკე ერთ წუთს. როცა გეტყვი, წაიყვანე-მეთქი, წაიყვანე. დარჩენას მოინდომებს, მაგრამ მაინც წაიყვანე. ოღონდ, ერთი წუთი დამალაპარაკე.

– ბევრი დრო არც არის, – თქვა პაბლომ. – გული მტკივა, ასე რომ გხედავ...

თავჩალუნული პილარი უსიტყვოდ გაბრუნდა. უკან მოუხედავად წავიდა და რობერტ ჯორდანი შენიშნა, ქალს მხრები როგორ უთრთოდა.

რობერტმა მარიას ორივე ხელი დაუჭირა: – ყური მიგდე, ჩვენ არ წავალთ მადრიდში.

გოგონამ ტირილი დაიწყო.

– ნუ, ნუ! – ამშვიდებდა რობერტი, – ყური მიგდე. ჩვენ ახლა მადრიდში არ წავალთ, მაგრამ მე ყოველთვის შენთან ვიქნები, სადაც არ უნდა წავიდე, გამიგე?

გოგონამ უსიტყვოდ თავი ლოყაზე მიაყრდნო და ხელები შემოხვია.

– კარგად დაუკვირდი ამას, ბაჭიავ, – განაგრძობდა რობერტი, იცოდა, დრო აღარ იყო, ოფლი ღვარად სდიოდა, მაგრამ უნდა ეთქვა, უნდა გაეგებინებინა სათქმელი. – შენ ახლა წახვალ, ბაჭიავ. მეც შენთან ერთად ვიქნები. სანამ ერთ-ერთი ჩვენგანი ცოცხალია, მუდამ ერთად ვიქნებით. ხომ გესმის?.. რაც ახლა მოხდება, მარტომ უნდა გადავიტანო... წადი და მეც შენთან ვიქნები... სადაც ერთია, იქ ორივენი ვართ.

– მე შენთან მიხდა დარჩენა.

– არა, ბაჭიავ, გამიგონე. ასეთ დროს ერთად ყოფნა შეუძლებელია. ყველა კაცმა მარტომ უნდა გადაიტანოს ეს. შენ წახვალ და მეც შენთან ვიქნები. მხოლოდ ასე ვიქნები შენთან. შენ წახვალ ახლა, ვიცი. შენ ხომ კარგი ხარ, კეთილი...

– არა, რობერტო, როგორ არ გესმის, წასვლა უარესია ჩემთვის...

ოფლად გაღვრილი რობერტი შესცქეროდა მარიას და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ცდილობდა, დაეთანხმებინა. ასე არაფერი უცდია თავის დღეში...

– მე შენში ვარ ახლა, – თქვა რობერტმა... – აბა, მომეცი ხელი. თავი დახარე, არა, დაბლა დახარე, აი ასე. აი, ჩემი ხელიც, ჰო. რა კარგი ხარ. ნუღარ იდარდებ... მე შენში ვარ ახლა და შენთან ერთად უნდა მატარო, ჩვენ ორივენი შენში ვართ ახლა...

მან თავი დაუქნია ხეს ამოფარებულ პაბლოს, ცალი თვალით რომ უთვალთვალებდა და პაბლოც მათკენ წამოვიდა, პილარს ცერით ანიშნა, მოდიო.

– ჩვენ სხვა დროს წავალთ მადრიდში, ბაჭიავ, – თქვა რობერტმა, – მართლა გეუბნები... ახლა კი ადექი, წადი და გახსოვდეს, რომ ყოველთვის ერთად ვიქნებით...

– არა, – უთხრა გოგონამ და კისერზე შემოეჭდო.

რობერტი ისევ მშვიდად და დამაჯერებლად ლაპარაკობდა.

– ადექი, – თქვა მან. – შენშია ყველაფერი, რაც ჩემგან დარჩება. ადექი.

გოგონა ნელა წამოდგა, ატირებული, თავჩაქინდრული... მერე ისევ ჩაიკეცა.

– მშვიდობას ნუ დამიბარებ, ჩვენ არ ვშორდებით ერთმანეთს... წადი ახლა, წადი, ნუ მოიხედავ. შეყავი ფეხი... ჰო. შეყავი ფეხი... – მოეხმარე, – უთხრა მან პილარს: – შესვი უნაგირზე.

გაოფლიანებულმა თავი მოაბრუნა და დაღმართს ჩახედა. შემდეგ ისევ გოგონას მიაპყრო მზერა. მარია უნაგირზე პილარის გვერდით იჯდა. პაბლო მათ უკან იდგა.

გოგონამ მობრუნება სცადა.

– ნუ მოიხედავ, – დაუყვირა რობერტ ჯორდანმა, – წადი. – პაბლომ ცხენს გავაზე გადაჰკრა შოლტი; მარია ისე იჯდა ცხენზე, თითქოს ეს არის, უნაგირიდან დაცურდებო, მაგრამ პილარი და პაბლო იქვე იყვნენ. პილარი ხელით ეშველებოდა მარიას. სამი ცხენი აღმართს შეუყვია.

– რობერტო, – მარია მობრუნდა და იკივლა. – დამტოვე შენთან, დამტოვე!

– მე შენთან ვარ, – შესძახა რობერტ ჯორდანმა. – მე შენთან ვარ ახლა, მანდ ერთადა ვართ... წადი! – მალე მგზავრები თვალს მიეფარნენ. რობერტ ჯორდანი კი ოფლად იღვრებოდა და ველარაფერს ხედავდა. აგუსტინი გვერდით ედგა.

– გინდა გესროლო? – დაიხარა და ჰკითხა. – გინდა? ნუ მომერიდები.

– არ არის საჭირო, – თქვა რობერტ ჯორდანმა. – წადი. კარგად ვარ ასე...

აგუსტინი ტიროდა და ბუნდოვნად ხედავდა რობერტ ჯორდანის სახეს: – მშვიდობით!

– მშვიდობით, ძმაო, – უთხრა რობერტ ჯორდანმა... – გოგოს მიმიხედე, კარგი?

– რა თქმა მინდა, – მიუგო აგუსტინმა. – ყველაფერი გაქვს, რაც გჭირდება?

– ამ ავტომატის ტყვიები ცოტალა დარჩა, ამას დავიტოვებ, – თქვა რობერტ ჯორდანმა.

– ლულა გაგიწმინდე, – უთხრა აგუსტინმა, – დაცემისას მიწით აგვსებოდა...

აგუსტინი უკვე ცხენზე იჯდა, მაგრამ წასვლა არ უნდოდა. დაბლა დაიხარა ხესთან, სადაც რობერტ ჯორდანი იწვა.

– წადი, – უთხრა რობერტ ჯორდანმა. – ომში ხშირია ასეთი რამე.

– წყეული ომი, – თქვა აგუსტინმა.

– მართალი ხარ. წადი ახლა.

– მშვიდობით! – უთხრა აგუსტინმა და მარჯვენა ხელი მომუშტა.

აგუსტინმა ცხენი დაძრა, მუშტი დაბლა დაუშვა, თითქოს იგინებო და აღმართს შეუდგა. დანარჩენები დიდი ხანია თვალს მიეფარნენ. აგუსტინმა ხეებს შორის გამოიხედა და ხელი დაიქნია. რობერტმაც დაუქნია ხელი და მალე აგუსტინიც მიეფარა.

რობერტ ჯორდანი გაჰყურებდა ფერდობს, გზას და ხიდს... ასეთმა მარცხმა და სიმართლემ სიცარიელე და უძლურება აგრძნობინა. ნაღველი შემოაწვა გულზე. ბოლოს და ბოლოს, ახლა მისთვის აღარაფერი იყო ძნელი. რაც მოხდა და რაც უნდა მომხდარიყო, მისთვის უკვე აღარ იყო ძნელი.

*(თარგმანი ი. გურგულიასა და ე. ფალავასი)*

### ყურადღებით წაიკითხეთ მირზა გელოვანის ლექსი „ნუ მწერ“:

ნუ მწერ, რომ ბაღში აყვავდა ნუში,  
რომ მთაწმინდაზე ცა დაწვა თითქოს,  
რომ საქართველო ამ გაზაფხულში,  
როგორც ყოველთვის, წააგავს ხვითოს,

რომ ორთაჭალამ ჩაიცვა თეთრი,  
რომ შენც ჩაიცვი კაბა ყვავილის,  
რომ მტკვარი ოხრავს, როგორც ყოველთვის,  
როცა მეტეხის ახლოს ჩაივლის.

...წუხელ ვებრძოდი ცეცხლს და ურაგანს,  
და საშინელი ბრძოლების ნისლში  
მე მომეჩვენა, სადღაც, ჩვენს უკან,

აელვებული იდგა თბილისი.

ორთაქალაში ჰყვოდა ნუში,  
მთაწმინდის მხრებზე მზე იწვა თითქოს,  
და შენ, ძვირფასო, ამ გაზაფხულში,  
როგორც ყოველთვის, მოჰგავდი ხვითოს.

ნუ მომწერ... ისეც ვიცი, რაგვარი  
ფერებით ჰყვავის თბილისი ახლა,  
რომ ვილაც დადის მინდვრებში ღამით  
და დილისათვის ამწვანებს ნახნავს.

მე ისიც ვიცი, რომ კარგ ამინდებს  
მოაქვთ გულების საამო ფეთქვა,  
და თუ ბოლომდის ტყვია დამინდობს,  
თუ გაზაფხულებს შევხვდებით ერთად, –

გეტყვი, რომ მოვედ ბრძოლანახული  
და სიკვდილამდის შენთან დავრჩები,  
რომ ღამაზია მზე გაზაფხულის,  
ბრძოლების შემდეგ – მზე გამარჯვების.



ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

წერით დავალებას თან ახლავს სამი მითითება. ეს მითითებები უნდა შეასრულოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

**წაწერი არ გასწორდება**, თუ მოცემული ტექსტები მთლიანობაში არაადეკვატურად არის გაგებული, ნაშრომი ტექსტების პერიფრაზია ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელებდა, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

**გაითვალისწინეთ**, ნაშრომი, რომლის მოცულობა არ აღემატება 120 სიტყვას, ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

### გაანალიზეთ მოცემული ტექსტები შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ერნესტ ჰემინგუეის ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ.
- იმსჯელეთ მირზა გელოვანის ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ.
- იმსჯელეთ ამ ტექსტების მსგავსება-განსხვავების შესახებ (ყურადღება მიაქციეთ, რა მხატვრულ საშუალებებს იყენებენ ავტორები).

*თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!*